ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N47

ქ. თეთრიწყარო 2023 წელი

ერთი მხრივ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი წიკლაურის სახით, ხოლო მეორე მხრივ, შპს ნოვა (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ედიშერ ხიმშიაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემდეგი საქონლის შესყიდვა:

1.1.1 ელექტრო სადენი პუნპ 3X4 , 80 მეტრი , 1 (ერთი) მეტრის ფასი 5,10.00 (ხუთი ლარი და ათი თეთრი) ლარი, ჯამში 408.00 (ოთხას რვა ლარი და ნული თეთრი) ლარი /cpv: 31320000/;

1.1.2 ავტომატური ამომრთველი 1 პ 16A XS Legrand 403204 , 2 (ორი) ცალი, 1 (ერთი) ცალის ფასია 7,90.00 (შვიდი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი), ჯამში, 15.80 (თხუთმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი;

1.1.3 ავტომატური ამომრთველი. ВА47-29 2Р 40А 4,5кА х-ка С IEK, 2 (ორი) ცალი, 1(ერთი) ცალის ფასია 17.40 (ჩვიდმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, ჯამში 34,80 (ოცდათოთხმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი /cpv: 31212000/.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 458.60 (ოთხას ორმოცდათვრამეტი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, მათ შორის cpv: 31212000 – 50.60 ლარი, ხოლო cpv: 31320000 – 408.00 ლარი;

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

2.3 დაფინანსების წყარო - 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შესმყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

3.2 მიწოდების ადგილი: ქალაქი მარნეული (საკადასტრო კოდი: 83.02.13.237) მარნეულის საგამოფენო დარბაზი N6 (საწყობი 1101) .

3.3 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღე.

3.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება;

3.5 შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

3.6 შემსყიდველი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღების შემდეგ, მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორცელდება საქონლის მიწოდების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის ანგარიშის ნომერზე.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

5.1 თუ მიმწოდებელი გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

5.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა;

5.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

5.4 გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება, საქონლის მიწოდების შემდგომ, სასაქონლო ზედნადების ატვირთვის მომენტიდან, რომლის საფუძველზეც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეების უფლებამოსი წარმომადგენლები.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი

მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

7.4 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

8. ხელშკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

8.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას;

8.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

8.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე;

8.6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

8.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;

8.8. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;

- ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10. ინსპექტირების პირობები

10.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური.
10.2. მიწოდებულ საქონელზე ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით;
11.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები და მისამართები

„შემსყიდველი“

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ.თეთრიწყარო თამარ მეფის ქ.N 34
ს/კოდი: 230869254
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE24NB0330100200165022
ბ/კოდი: TRESGE22

„მიმწოდებელი“

შპს ნოვა
მის: თბილისი, რ. აგლაძის ქ .N45.
ს/კ 202358126
ს/ს “თიბისი ბანკი“
ანგარიში: GE05TB7483836050100001
ბ/კოდი: TBCBGE22

14. მხარეთა ხელმოწერები

TETRITSKARO MUNICIPALITY

Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2023.03.24 17:10:04 +04'00'

Digitally signed by:
Edisher Khimshiashvili
(61010016369)
Certified by Signify

გიორგი წიკლაური	ედიშერ ხიმშიაშვილი
მუნიციპალიტეტის მერი	შპს ,,ნოვა“-ს გენერალური დირექტორი